საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №170/ნ

2019 წლის 19 აგვისტო

ქ. თბილისი

საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ

„პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების თანდართული წესი და პირობები.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და **მიხეილ ბატიაშვილი**
სპორტის მინისტრი

საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესი და პირობები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში (შემდგომში – პროგრამა) ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესი და პირობები (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების (შემდგომში – ინტეგრირება) მიზნებს, ინტეგრირების მეთოდოლოგიასა და ადგენს იმ მოდულების შინაარსს, რომელთა ინტეგრირებაც უნდა განხორციელდეს პროგრამაში.

მუხლი 2. ინტეგრირების მიზანი

ინტეგრირების მიზანია საბაზო ზოგადი განათლების მქონე პირებისთვის პროფესიის შესწავლის პარალელურად სრული ზოგადი განათლების მიწოდება და ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მეოთხე დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭება, რაც სრულდება ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან გათანაბრებული დიპლომის გაცემით.

მუხლი 3. ინტეგრირების მეთოდოლოგია და ინტეგრირებული ზოგადი მოდულები

1. ინტეგრირება გულისხმობს ეროვნული სასწავლო გეგმის საშუალო საფეხურის მოთხოვნების ასახვას პროგრამის იმ კომპონენტებში, რომლებიც ორიენტირებულია საკვანძო კომპეტენციების ან/და ტრანსფერული უნარების გამომუშავებასა და განვითარებაზე.
2. ინტეგრირების მიზნებისათვის, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების ზოგადი მოდულებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის საშუალო საფეხურის სავალდებულო საგანთა ჯგუფის გაერთიანებით, დამტკიცდეს ინტეგრირებული ზოგადი მოდულები:

ა) „კომუნიკაცია ქართულ ენაზე" – ამ წესის დანართი №1-ის შესაბამისად;

ბ) „მათემატიკური წიგნიერება" – ამ წესის დანართი №2-ის შესაბამისად;

გ) „მოქალაქეობა" – ამ წესის დანართი №3-ის შესაბამისად;

დ) (ამოღებულია - 07.06.2024, №95/ნ);

ე) „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ – ამ წესის დანართი №5-ის შესაბამისად;

ვ) „ესთეტიკა“ – ამ წესის დანართი №6-ის შესაბამისად;

ზ) „სპორტი“ – ამ წესის დანართი №7-ის შესაბამისად.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით დამტკიცებული ინტეგრირებული ზოგადი მოდულების შემუშავებისას გამოყენებულია:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების ზოგადი მოდულები:

ა.ა) პიროვნული უნარები და ინტერპერსონალური კომუნიკაციები;

ა.ბ) რაოდენობრივი წიგნიერება;

ა.გ) სამოქალაქო განათლება;

ა.დ) (ამოღებულია - 07.06.2024, №95/ნ);

ა.ე) (ამოღებულია - 07.06.2024, №95/ნ).

ბ) ეროვნული სასწავლო გეგმის საშუალო საფეხურის სავალდებულო საგანთა ჯგუფის საგნობრივი პროგრამები:

ბ.ა) ქართული ენა და ლიტერატურა;

ბ.ბ) მათემატიკა;

ბ.გ) ისტორია;

ბ.დ) მოქალაქეობა;

ბ.ე) გეოგრაფია;

ბ.ვ) ქიმია;

ბ.ზ) ბიოლოგია;

ბ.თ) ფიზიკა.

ბ.ი) ვიზუალური ხელოვნება;

ბ.კ) მუსიკა;

ბ.ლ) ფიზიკური აღზრდა და სპორტი.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით დამტკიცებული ინტეგრირებული ზოგადი მოდულები წარმოადგენს პროგრამის შემადგენელ ნაწილს, მათი ჯამური მოცულობა განისაზღვრება 30 კრედიტით და დაუშვებელია მათი პროგრამისგან დამოუკიდებლად განხორციელება.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 7 ივნისის ბრძანება №95/ნ - ვებგვერდი, 10.06.2024 წ.

მუხლი 4. პროგრამის განხორციელების თავისებურებები

1. პროგრამის ხანგრძლივობა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის

სწავლის შედეგები, არ უნდა იყოს 65 სასწავლო კვირაზე ნაკლები.
2. პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დაშვების წინაპირობაა საბაზო ზოგადი განათლების პროგრამის დაძლევა.

3. პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამის ფარგლებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 7 ივნისის ბრძანება №95/ნ - ვებგვერდი, 10.06.2024 წ.

მუხლი 5. გარდამავალი დებულება
სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო „დოკუმენტებისა და მათ საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებისთვის, ინტეგრირებული ზოგადი მოდულების ჯგუფს მიეკუთვნება ამ წესის N8 დანართით გათვალისწინებული მეწარმეობის მოდულიც. ამ შემთხვევაში ინტეგრირებული ზოგადი მოდულების ჯამური მოცულობა განისაზღვრება 34 კრედიტით.
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 7 ივნისის ბრძანება №95/ნ - ვებგვერდი, 10.06.2024 წ.

დანართი №1

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 7 ივნისის ბრძანება №95/ნ - ვებგვერდი, 10.06.2024 წ.

(იხილეთ თანდართულ ფაილად)

დანართი №2

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 7 ივნისის ბრძანება №95/ნ - ვებგვერდი, 10.06.2024 წ.

(იხილეთ თანდართულ ფაილად)

დანართი №3

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 7 ივნისის ბრძანება №95/ნ - ვებგვერდი, 10.06.2024 წ.

(იხილეთ თანდართულ ფაილად)

დანართი №4

(ამოღებულია)

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 7 ივნისის ბრძანება №95/ნ - ვებგვერდი, 10.06.2024 წ.

დანართი №5

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 7 ივნისის ბრძანება №95/ნ - ვებგვერდი, 10.06.2024 წ.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 6 მარტის ბრძანება №14/ნ - ვებგვერდი, 07.03.2025 წ.

(იხილეთ თანდართულ ფაილად)

დანართი №6

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 7 ივნისის ბრძანება №95/ნ - ვებგვერდი, 10.06.2024 წ.

(იხილეთ თანდართულ ფაილად)

დანართი №7

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 7 ივნისის ბრძანება №95/ნ - ვებგვერდი, 10.06.2024 წ.

(იხილეთ თანდართულ ფაილად)

დანართი №8

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 7 ივნისის ბრძანება №95/ნ - ვებგვერდი, 10.06.2024 წ.

(იხილეთ თანდართულ ფაილად)